



# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 11

ჩაქვი

09 მარტი 2017წ.

#### ნინო ჩხეტიას გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ემუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 142<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 16 მაისის №106 დადგენილებით დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მედია ვასაძის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2014 წლის 6 ივნისის N05 ბრძანება.

3. ბრძანების ასლი ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ნინო ჩხეტიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე